დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2021 წლის 25 მარტის N 02-09/40 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (ქართული ფილმების) (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

საკონკურსო პირობები:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია და რადიო" შეისყიდის ქართული ფილმების საჯარო გადაცემის ლიცენზიას:

- ლიცენზიის მოქმედების ვადა: კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებელს გადასცეს ფილმების ორჯერადი საჯარო გადაცემის უფლება (ფილმების მატერიალური ფორმით მოწოდების ჩათვლით) 6 თვის ვადით, არაუმეტეს 5 ფილმზე - 3 თვის ვადით.
- საჯარო გადაცემის უფლების სავარაუდო პერიოდი - 2021 წლის აპრილიდან - 2021 წლის ოქტომბრამდე.
- კონკურსში მონაწილემ წინამდებარე საკონკურსო განაცხადის დანართში მითითებული ფილმებიდან (80 ფილმი. იხ.დანართი) სასურველია წარმოადგინოს არანაკლებ 40 ფილმის სია, რომელზეც აიღებს ვალდებულებას რომ შეძლებს/აქვს მაუწყებლისათვის საჯარო გადაცემის ლიცენზიის გადაცემას.
- განმცხადებელს უნდა ჰქონდეს მოპოვებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში საჯარო გადაცემის უფლების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება არაუგვიანეს ფილმების მოწოდების დღისა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
- კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მაუწყებელი კონკურსში გამარჯვებულ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ფილებიდან შეისყიდის არაუმეტეს 70 ფილმის (სერიების ჩათვლით) საჯარო გადაცემის უფლებას.

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამარჯვებული ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი ხარისხის და ფორმატის ქართული ფილმები:

- ხარისხი: თანამედროვე ქართული ფილმები - აღიარებული სტანდარტის (მაღალი ხარისხი) შესაბამისი ხარისხი. ძველი ქართული ფილმების ხარისხი - მისაღები ხარისხი.
- ფორმატი: Full HD 1920X 1080 I 25 fps.Mpeg;
- ფილმები უნდა იქნას მოწოდებული მყარ დისკზე (HDD). დისკი მიწოდების შემდეგ წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას;

ერთი ქართული ფილმის ლიცენზიის ღირებულებისათვის განსაზღვრულია არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების/გადასახდელების ჩათვლით. თუ ფილმი შედგება სერიებისგან, თანხა გადაიხდება თითოეული სერიისათვის.

კონკურსში შესაძლებელია გამოვლინდეს რამოდნეიმე გამარჯვებული. შესაძლებელია მითითებულ ფასზე დაბალი ღირებულების შემოთავაზება.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კონკურში მონაწილეობის მიზნით, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
   განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის გიორგი კოხრეიძეს სახელზე.
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განახლებული კონკურსის გამოცხადებამდე არაუმეტეს 30 დღით ადრე..
3. შემოთავაზებული ფილმების სია, შესაბამისი ფასის მითითებით.
4. საჯარო გადაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

განცხადების წარმოდგენის ვადები:

განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2021 წლის 25 მარტი .

განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2021 წლის 05 აპრილის ჩათვლით (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520

ფილმების სია (რეჟისორის მითითებით):

1. "ნატვრის ხე" (თენგიზ აბულაძე)
2. „ვედრება" (თენგიზ აბულაძე)
3. „თეთრი ბაირაღები" 3 სერია (გ.ლორთქიფანიძე)
4. „დათა თუთაშხია" 7 სერია (გიგა ლორთქიფანიძე)
5. „ფესვები" (ი. ბილანიშვილი)
6. „ბეღურების გადაფრენა"(თემურ ბაბლუანი)
7. „უძინართა მზე"(თემურ ბაბლუანი)
8. „13-ცამეტი"(გელა ბაბლუანი)
9. „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"(გიორგი შენგელაია)
10. „ომი და ქორწილი" (ზაზა კოლელიშვილი)
11. „არის ასეთი ქვეყანა" (ლევან ანჯაფარიძე)
12. „ჩემი ძვირფასი, სანატრელი ბაბუ"(პავლე ჩარკვიანი)
13. „ორომტრიალი"(ლანა ღოღობერიძე)
14. „ფელიჩტა"(ლანა ღოღობერიძე)
15. „გრძელი, ნათელი დღეები"(ნანა ექვთიმიშვილი)
16. „ჩემი ბედნიერი ოჯახი" (ნანა ექვთიმიშვილი)
17. „წუთისოფელი"(ნოდარ მანაგაძე)
18. „დიდედები და შვილიშვილები"(ნანა მჭედლიძე)
19. „პლიაჟის ავაზაკი" (ნანა მჭედლიძე)
20. „იმერული ესკიზები" (ნანა მჭედლიძე)
21. „პირველი მერცხალი" (ნანა მჭედლიძე)
22. „მოხეტიალე რაინდები"(თემურ ფალავანდიშვილი)
23. „მზე შემოდგომისა" (თემურ ფალავანდიშვილი)
24. „რაჭა ჩემი სიყვარული" (თემურ ფალავანდიშვილი)
25. "ახალი არკადია"(თემურ ფალავანდიშვილი)
26. „ადამიანთა სევდა" (გოდერძი ჩოხელი)
27. „აღდგომა"(გოდერძი ჩოხელი)
28. „ლუკას სახარება"(გოდერძი ჩოხელი)
29. „მარტოხელა მონადირე"(ქეთი დოლიძე)
30. „ჭრიჭინა" (სიკო დოლიძე)

31. „სამი სახლი“ (ზაზა ურუშაძე)
32. “მანდარინები“ (ზაზა ურუშაძე)
33. „აღსარება“ (ზაზა ურუშაძე)
34. „თბილისი, თბილისი“ (ლევან ზაქარეიშვილი)
35. „მამა“ (ლევან ზაქარეიშვილი)
36. „თემო“(ლევან ზაქარეიშვილი)
37. „მარილივით თეთრი“ (ქეთი მაჭავარიანი)
38. „შემთხვევითი პაემნები“(ლევან კოღუაშვილი)
39. „ქუჩის დღეები“ (ლევან კოღუაშვილი)
40. „გაიღიმეთ“ (რუსუდან ჭყონია)
41. „სოლომონი“ (ზაზა ხალვაში)
42. „საშიში დედა“ (ანა ურუშაძე)
43. “სხვისი სახლი“ (რუსუდან გლურჯიძე)
44. “ანდრო“ (თორნიკე გოგრიჭიანი)
45. „ჰორიზონტი“ (თინათინ ყაჯრიშვილი)
46. „დედე“ (მარიამ ღაჭვანი)
47. “მეზობლები” (გიგუშა აბაშიძე)
48. “ანას ცხოვრება“ (ნინო ბასილია)
49. „ნეტავი იქ თეატრი არის“ (ნანა ჯორჯაძე)
50. „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ (ნანა ჯორჯაძე)
51. „შინდისი“ (დიმიტრი (დიტო) ცინცაძე)
52. „სვანი“ (სოსო ჯაჭვლიანი)
53. „ექვთიმე ღვთისკაცი“(ნიკოლოზ ხომასურიძე)
54. „ონავარი გოჭი“(რეზო ჭარხალაშვილი)
55. „ნუცა“ (ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი)
56. „გზა შინისაკენ“ (ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი)
57. „საფეხური“(ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი)
58. „მიახლოება“(ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილი)
59. „კარუსელი“ (შაქრო ჯორჯაძე)
60. „პორფირიონი“(შაქრო ჯორჯაძე)
61. „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (რეზო ჩხეიძე) 3 სერია
62. „მშობლიურო ჩემო მიწავ“ 4 სერია (რეზო ჩხეიძე)
63. „განძი“(რეზო ჩხეიძე)
64. “ზღვის ბილიკი“ (რეზო ჩხეიძე)

65. „ჩვენი ეზო“ (რეზო ჩხეიძე)
66. “მოიტაცეს თამარ ქალი” (ლეილა გორდელაძე)
67. „ბათა ქექია“(ლეილა გორდელაძე)
68. „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“ (ალექსანდრე ჟღენტი)
69. „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“ (ალექსანდრე ჟღენტი)
70. „ერთი ნახვით შეყვარება“ (რეზო ესაძე)
71. „წკიპურტები“(რეზო ესაძე)
72. „წისქვილი ქალაქის გარე უბანში“ (რეზო ესაძე)
73. „ავტოპორტრეტი“ (ერეკლე ბადურაშვილი)
74. „თბილისი ჩემი სახლია“ (ერეკლე ბადურაშვილი)
75. „მამა, შვილი და ნიავი“ (გოგიტა ჭყონია)
76. „სერენადა“ (ბუბა ხოტივარი)
77. „ლაზარეს თავგადასავალი“ (ბუბა ხოტივარი)
78. „კაპიტნები“ (თამაზ გომელაური)
79. „ესკულაპეს მოწაფე“ (ოთარ აბესაძე)
80. „მალე გაზაფხული მოვა“ (ოთარ აბესაძე)